ოქმი:**ო63. 6325343001**
თარიღი:**09/12/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. სამტრედია 17 ნოემბერი, 2025 წელი.

2025 წლის 17 ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: **ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, ჯონი თევზაძე, თენგიზ ცაგურია, მიხეილ კვანტალიანი, ხვიჩა ფანცულაია, გიორგი გაგუა, ტარიელ დვალიშვილი, ლაშა მუქერია, მერაბ თევზაძე, მაია ტალაბაძე, პაატა კოხრეიძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, როლანდ ეცადეიშვილი, გივი მურღულაია, მარიამ ცომაია, კირილე ბერაძე, ანა გეგეშიძე, ემზარ კრავეიშვილი, კობა ჟორჟოლიანი, ვარგისო ჩაჩუა, ქიშვარდ ღაღანიძე, შალვა მეფარიშვილი, ხვიჩა დარსაველიძე.**

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

4. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

5. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი, ლევან გაბეჩავა.

6. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ აღნიშნა: ,,მოგესალმებით ბატონებო! ვიდრე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს გაგაცნობთ, მინდა ავღნიშნო ის სამწუხარო ფაქტი, რომელიც ეხება ბატონ ტარიელ თვალავაძის გარდაცვალებას. ის წლებია მუშაობდა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, აქტიურად იყო ჩართული კოვიდ-პანდემიის დროს ჩვენი მოქალაქეების დახმარებაში, მეგობრობის ეტალონი, იყო ჩვენი გუნდის წევრი, მოსიყვარულე და ქომაგი ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქალაქის. ასევე მინდა გავიხსენო III, IV და V მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია. ის ზუსტად ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ადამიანი, რომელიც დააკლდა თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს ქალაქს, ღირსეული ქართველი, განათლებული, კულტურული, ერუდირებული ადამიანი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას''. (საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას და ბატონ ტარიელ თვალავაძის ხსოვნას).

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 26 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

3. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 26 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა, აღნიშნა, რომ საკითხი შეისწავლა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი პროექტი, რომლის თანახმად

მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 26 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 26 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ

N	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2		3	4	5	6
1	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქმიანი ეზოს მოწყობა	4,700,000	4,465,000	235,000.00	იანვარი	დეკემბერი	
2	ქ. სამტრედიაში რუსთაველის, ბ. კრავეიშვილის, ჭავჭავაძის და ვაშაკიძის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	552,287	524,672	27,615.00	იანვარი	მაისი	
3	ქ. სამტრედია, გამსახურდიას მოედნიდან მდ. ჭურთავას მიმართულებით სანიაღვრე არხის მოწყობა	287,649	273,266	14,383.00	იანვარი	მაისი	
4	ქ. სამტრედიაში, დიდგორის ქ. სანიაღვრე არხის მოწყობა	51,635	49,053	2,582.00	იანვარი	მაისი	
5	ბაშის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	185,000	175,750	9,250.00	იანვარი	მაისი	
6	ქ. სამტრედიაში თამაზ დუნდუას ქ. N1 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	108,825	103,383	5,442.00	იანვარი	მაისი	
7	ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩა N316 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის	179,987	170,987	9,000.00	იანვარი	მაისი	

	და სახურავის რეაბილიტაცია						
8	ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩა N314 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	91,067	86,513	4,554.00	იანვარი	მაისი	
9	ქ. სამტრედიაში, ძმები ნინუების ქ. N11 და 13-ში არსებული მრავალბინიანი საცხ. სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია	412,960	392,312	20,648.00	იანვარი	მაისი	
10	ქ. სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. N6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთ ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები	334,018	317,317	16,701.00	იანვარი	მაისი	
11	ქ. სამტრედიაში, ნინოშვილის ქ. N2-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია და რუსთაველის N2;N14; ზაქარია ფალიაშვილის ქ. N32-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე სახურავის ფენილის სამღებრო სამუშაოები	148,825	141,383	7,442.00	იანვარი	მაისი	
12	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირში ე.წ. ,,თეთრ გზაზე" ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	331,150	314,592	16,558.00	იანვარი	მაისი	
13	კონსტიტუციის ქუჩაზე სტადიონთან ავტოსადგომისა და მისასვლელი გზის მოწყობა	192,060	182,457	9,603.00	იანვარი	მაისი	
14	ახალგაზრდობის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	219,999	209,000	10,999.00	იანვარი	მაისი	
	მოსწავლე-						

15	ახალგაზრდობის სახლის სრული რეაბილიტაცია	500,000	475,000	25,000.00	იანვარი	დეკემბერი	
16	სოფ. დიდი ჯიხაიშში ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბ ,,ჯიკო"-ს სპორტული ბაზის სახურავის, გასახდელისა და საშხაპის სარემონტო სამუშაოები	198,456	188,533	9,923.00	იანვარი	აგვისტო	
17	სოფ. დიდი ჯიხაიშის N44 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	95,154	90,396	4,758.00	იანვარი	მაისი	
18	წერეთლის ქუჩაზე სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	95,792	91,002.00	4,790.00	იანვარი	მაისი	
19	ქ. სამტრედიაში ლ.თევზაძის N62 ბინის სახურავის რეაბილიტაცია	74,361	70,642	3719,00	იანვარი	დეკემბერი	
20	ქ. სამტრედიაში კონსტიტუციის N1 ბინის სახურავის რეაბილიტაცია	147,262	139,898	7,364	იანვარი	მაისი	
21	ქ. სამტრედიაში ჭავჭავაძის ქ. N2 ბინის სახურავის რეაბილიტაცია	46,779	44,440	2,339	იანვარი	მაისი	
22	დაბა კულაშში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	400,000.00	380,000	20,000.00	იანვარი	დეკემბერი	
23	ყოფილი ფოსტის შენობის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია	350,000.00	332,500	17,500	იანვარი	დეკემბერი	
24	ნაბაკევის კლუბის ფასადისა და გადახურვის რეაბილიტაცია	170,000.00	161,500	8,500	იანვარი	დეკემბერი	
25	ყოფილი რკინიგზის განყოფილების N2 შენობის მეორე და მესამე სართულის რეაბილიტაცია	205,000.00	194,750	10,250	იანვარი	დეკემბერი	
	ნინოშვილის ქ. N2 ფასადის	300,000.					

26	რეაბილიტაცია	00	285,000	15,000	იანვარი	დეკემბერი	

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026-2029 წლებში განსახორციელებელი 26 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის წესის დატკიცების საკითხი და გადაწყვიტა:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეების მიერ, საკრებულოსათვის დაკისრებული ფუნქციების ორგანიზაციულად განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის მოსამსახურეებისათვის გადაცემულ კორპორაციულ ნომრებზე, სააბონენტო გადასახადი გადახდილ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის განკუთვნილ ასიგნების ფარგლებში დანართი N1 და დანართი N2-ის მიხედვით.

- ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №-63.632135728 განკარგულება.**

აღნიშნული განკარგულების მიღება გამოწვეულია VI მოწვევის საკრებულოს ახალი შემადგენლობით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი